რას ითხოვს ჩვენგან მუსიკის გაკვეთილები (III ნაწილი)

ავტორი მაია გოგსაძე

სიმართლე უნდა ითქვას, მუსიკოსად, განსაკუთრებით პროფესიონალად ჩამოყალიბების გზას ვერაფრით ვუწოდებთ მოკლესა და მარტივს. ბავშვისთვის ფორტეპიანოზე დაკვრის შესწავლის პროცესი ადვილი არ არის. სირთულეები ყველაზე ნიჭიერ ბავშვთანაც კი წარმოიქმნება, თუნდაც ნაკლებად მოძრავი ინდივიდუალური სწავლების გამო. პირველ ყოვლისა, სირთულე უკავშირდება ყოველდღიურ შრომასა და ნებისყოფის სიმტკიცეს, შეუპოვრობას და შრომის უნარიანობას, მოთმინებასა და სიბეჯითეს.

მსოფლიოში ერთ-ერთმა ცნობილმა მევიოლინემ ინტერვიუში აღიარა, რომ მამა მუსიკალური პასაჟის იმდენჯერ გამეორებას აიძულებდა, რამდენი ასანთის ღერიც იყო კოლოფში. მამა დაცლილ ყუთში ასანთის ღერებს თანდათან უკან აბრუნებდა, მისი ნიჭიერი და მშრომელი შვილი კი იმავე პასაჟს კიდევ და კიდევ დაუღალავად „ხვეწდა“. გასაკვირი არ იქნებოდა, მომავალში გამოჩენილ მევიოლინეს საკრავის სამუდამოდ გადაგდების სურვილი გასჩენოდა. შეგახსენებთ, ბავშვობაში იძულებითი მეცადინეობებით „განებივრებულნი“ გენიალური ბეთჰოვენი და მოცარტიც იყვნენ.

ზოგადად ინტერესი, ხშირად არასტაბილურია და თუ ჩვენ მხოლოდ მას დავეყრდნობით, შესაძლოა ბავშვმა იმედები გაგვიცრუოს. დგება მომენტი, როდესაც იგი უნდა ვაიძულოთ გამოიჩინოს ნებისყოფა და ისწავლოს. ამავე დროს, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ მუსიკის სწავლება, ისევე როგორც საქმიანობის ყველა სხვა სახეობა, საჭიროა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით ავაგოთ.

როგორ ჩავრთოთ ბავშვი რუტინულ შრომაში? მისი ცხოვრება მხოლოდ საკრავთან ჯდომით არ უნდა შემოიფარგლოს. მეცადინეობების გამრავალფეროვნებისთვის კარგი იქნება, თუ ბავშვი მუსიკას სხვა გატაცებებსაც შეუთავსებს: მეგობრებთან გართობას, ფიზიკურ ვარჯიშებს, კითხვას, ფილმების ცქერას და ა.შ. სიტუაციის მშვიდი გაანალიზებითა და გონივრული მიდგომით მოსწავლის ჭირვეული „არ მინდა“ შექცევადია.

გვახსოვდეს, სასურველი შედეგის მისაღწევად მბრძანებლური ტონი არ არის საუკეთესო გამოსავალი. ბევრად უფრო ეფექტური და ჰუმანურია თუ ბავშვის ინტერესს მეცადინეობის მიმართ გართობის ფონზე გავაღვივებთ. შეცდომისთვის არ დავსჯით. არც შექებას დავიზარებთ და სიურპრიზებსაც მოვუწყობთ.

იძულება ხშირ შემთხვევაში ბავშვის გაღიზიანებასა და ნერვულ აშლილობას იწვევს. არსებობს ორი განსხვავებული მოსაზრება. ერთნი მიიჩნევენ, რომ ბავშვის მხრიდან წინააღმდეგობის მიუხედავად სწავლის „დაძალება“ აუცილებელია და თუ მომავალში ნაყოფს გამოიღებს, მომავალი მუსიკოსი მადლიერი დაგვრჩება. მეორენი თვლიან, მშობლებმა მოსწავლეს ინტერესის გასაღვიძებლად შესაბამისი გარემო პატარაობიდანვე უნდა შეუქმნან. აქ უმთავრესია მუსიკასთან მუდმივი შეხება: მოსმენა, დაკვრა, სიმღერა, რაც ბავშვს უვითარებს მუსიკალურ მონაცემებს, აჩვევს შრომას, ნებისყოფას უმუშავებს, საკუთარ ძალებში არწმუნებს და თვითშეფასებას უმაღლებს. ამიტომ მასწავლებლებისა და მშობლების მუდმივი ზრუნვის საგანი ბავშვის თავიდანვე შრომასთან შეჩვევა

უნდა გახდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კლასიკურ მუსიკას. მოსმენის პროცესი ძალდაუტანებელი უნდა იყოს. ის შეიძლება ფონად ჟღერდეს გართობისა და სხვადასხვა საქმიანობის დროს. ასეთ შემთხვევაში მუსიკა თავად შეაღწევს ბავშვის ცნობიერებაში და შეუმჩნევლად დაიწყებს მასზე ზემოქმედებას. ისეთი ვიდეოჩანაწერები აჩვენეთ, სადაც მისი ასაკის ნიჭიერი ბავშვები უკრავენ ან მღერიან. ეს მათ ძალიან დააინტერესებთ და იმავეს გაკეთებას მოისურვებენ.

[იხილეთ ვიდეოს ბმული]

სასურველია ბავშვის სამუშაო ადგილი მიმზიდველად და მყუდროდ მოაწყოთ. და კიდევ ერთი რამ, მოტივაციის ასამაღლებლად ყოველი მცირე მიღწევისთვისაც გულწრფელად და ზომიერად შეაქეთ და წაახალისეთ. მცირე ასაკიდან მუსიკით გარემოცული ბავშვი მუსიკას ეჭვგარეშე შეიყვარებს.

მუსიკალური სკოლის მოსწავლეებს ხშირად უჭირთ პროგრამის დაძლევა. მათ არ ესმით რატომ არის აუცილებელი გამების, ეტიუდების დაკვრა, რა საჭიროა სოლფეჯიოს შესწავლა. მათთვის ყოველივე ეს მოსაწყენია და სწავლის გაგრძელება აღარ სურთ. მაგრამ როდესაც მიხვდებიან, რომ სწავლის პროცესი შეიძლება სრულიადაც არ იყოს მოსაწყენი, მათი დამოკიდებულება მეცადინეობების მიმართ მკვეთრად შეიცვლება. მოსწავლეებს გაკვეთილებზე საკუთარი წარმატება ძალიან ახარებთ, მიღწევებს დიდი სიამოვნებით აფიშირებენ და ბედნიერები არიან მუსიკასთან და მასწავლებელთან ურთიერთობით. სწორედ წარმატება ხდება მათი ენთუზიაზმისა და მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი საუკეთესო მიზეზი.

ალბათ ვიცით, რომ ფორტეპიანოზე დაკვრა ავითარებს გონებრივ შესაძლებლობებს, მეხსიერებას, ლოგიკას, კრეატიულ აზროვნებას, კონცენტრაციისა და წარმოსახვის უნარს, სამყაროს მრავალფეროვან აღქმას, მოძრაობის კოორდინაციას და ა.შ. ფორტეპიანოზე დაკვრას მოაქვს სიამოვნება, სიხარული და ყოველგვარი დადებითი ემოციები.

მოსწავლის პრობლემები

თუ თქვენმა შვილმა მუსიკისადმი ინტერესი დაკარგა, შინ არ მეცადინეობს, პროგრესი არ შეიმჩნევა, დაელაპარაკეთ და შეეცადეთ პრობლემების მიზეზები დაადგინოთ. მიზეზები შესაძლოა იყოს:

ძალიან დაკავებულია და მუსიკისთვის ცოტა დრო რჩება

მასწავლებელი არ მოსწონს

ახალი ინტერესები გაუჩნდა

პირადი ხასიათის პრობლემები აღელვებს

დაინტერესდით შვილის რეჟიმით, როგორ ანაწილებს დროს.

მოინახულეთ მასწავლებელი და გაეცანით სწავლის შედეგებს.

თუ თქვენ შვილს ახალი ინტერესები გაუჩნდა, დაეხმარეთ გატაცების უპირატესობის შეფასებაში მუსიკის სწავლასთან შედარებით.

გამოხატეთ თანაგრძნობა და დაეხმარეთ შვილს წინააღმდეგობების გადალახვაში. მას თქვენი გაგება ესაჭიროება იმ სირთულეების დასაძლევად, რომელსაც შეეჯახა.

მეცადინეობების გრაფიკი

სწავლის პროცესის ეფექტურობა უშუალო კავშირშია გაკვეთილების კარგად გააზრებულ ორგანიზებასთან. არ დაგვავიწყდეს გრაფიკის შედგენა სხვა დისციპლინებთან შეთანხმებით და მეცადინეობების ხანგრძლივობის დადგენა. სწავლის ხარისხი დამოკიდებული არ არის დროის ხანგრძლივობაზე. შესაძლოა ორი საათის მეცადინეობით იმის ნახევარი ეფექტი ვერ მიგვეღო, რასაც 30 წუთიანი კარგად გააზრებული მეცადინეობით მივაღწევდით.

დამოუკიდებლობა

როდესაც ბავშვი მუსიკის ძირითად საფუძვლებს დაეუფლება და რეგულარული პრაქტიკული მუშაობის ჩვევას გამოიმუშავებს, მიეცით თავისუფლება და სწავლების მთელი პასუხისმგებლობაც მას დააკისრეთ. კარგი იქნება თუ რეგულარული პრაქტიკისა და მიღწევებისათვის შექების სისტემას გამოიმუშავებთ. შეგახსენებთ, შექების დროს ადამიანის ორგანიზმში ბედნიერების ჰორმონი გამოიყოფა.

პოტენციალი

ნიჭიერებას თუ თან ახლავს სიბეჯითე და თვით ბავშვის სურვილი ისწავლოს მუსიკა, ეს აუცილებლად გამოიღებს დადებით შედეგს. როდესაც ბავშვი დაინტერესებულია მუსიკით, დამჯერია და დიდხანს და დაძაბულად შეუძლია მუშაობა.

მოზარდმა შესაძლოა უარი თქვას მუსიკაში მეცადინეობის გაგრძელებაზე, თუ გრძნობს, რომ ტიტანური შრომის მიუხედავად პროგრამის ათვისებას ვერ ახერხებს. გვახსოვდეს, მეცადინეობები სიკეთის მომტანი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ მისი შემოქმედებითი უნარები პროგრამის მოთხოვნებს შეესაბამება.

თუ მოსწავლე მუსიკას არ გაჰყვება

მშობლებო, ერთ მშვენიერ დღეს, თუ თქვენ შვილს ნოტების გარჩევა მობეზრდება და მეცადინეობას შეწყვეტს და თუ თქვენი ოცნება ვერ ახდა შვილის მუსიკალური პროფესიის დაუფლების თვალსაზრისით, გახარჯული ენერგია სარგებელს მაინც მოიტანს... ბავშვზე მუსიკის გავლენა ძალზე

დიდი იქნება. ნუ დაივიწყებთ, მუსიკაში წვდომა და ამით სიამოვნების მიღება თქვენი ბავშვის ცხოვრებას ესთეტიკურად გაამდიდრებს და გაამრავალფეროვნებს. მუსიკალურ განათლებაში უმთავრესი ამოცანა მუსიკის გაგება და შეგრძნებაა. ფორმირებული ჩვევები ცოდნასთან ერთად გემოვნებასა და კულტურას ავითარებს.